PERI

05.09.2022
N 086/22

სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო"-ს
უფროსს ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

მოგახსენებთ, რომ შპს „ფერი"-ს ახმეტის მუნიციპალიტეტში, მდ. სამყურისწყალზე დაგეგმილი აქვს 27 მგვტ დადგმული სიმძლავრის „სამყურისწყალი 2 ჰესი"-ის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

ზემოაღნიშნულ პროექტზე 2020 წლის 11 ივნისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ No2-479 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №52; 07.08.2017).

საპროექტო ჰესის სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, კომპანიის მიერ განხორციელდა ტექნიკური გადაწყვეტილებების ცვლილება, მოსახლეობის დაჟინებული თხოვნით და ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის, მე-12 პუნქტის საფუძველზე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა. ამასთან, პროექტით დაგეგმილი ფუჭი ქანების (ნარჩენის) განთავსება სანაყაროს სახით, მიეკუთვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მიხედვით მე-2 დანართის 10.2. ქვეპუნქტის (ნარჩენების განთავსება), ხოლო სანაყაროს ნაპირდამცავი ნაგებობის (გაბიონების) მოწყობა მიეკუთვნება ამავე კოდექსის მე-2 დანართის 9.13. ქვეპუნქტით (ნაპირდაცვითი და სანაპირო ზოლის ეროზიის შესაკავებლად ან/და სანაპირო ზოლის აღდგენის მიზნით გათვალისწინებული სამუშაოები) გათვალისწინებულ საქმიანობას და ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

მიმდინარე წლის 3 აგვისტოს (N3760) შპს „ფერი"-ს მიერ სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო"-ში სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით წარმოდგენილ იქნა „სამურისწყალი 2 ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ცვლილების პროექტი"-ს სკრინინგის ანგარიში.

მიმდინარე წლის 25 აგვისტოს N21/4762 წერილის საფუძველზე, გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით, სააგენტომ აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით დროებით შეაჩერა ადმინისტრაციული წარმოება.

ჯ.ჯაჯანაძის N 8 0159 თბილისი საქართველო
+995 32 2528871 INFO@PERI.GE WWW.PERI.GE

სსიპ გარემოს ეროვნული
სააგენტო
"07" 09 2022
№ 4678

05.09.2022
N 086/22

PERI

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ სააგენტოს 25 აგვისტოს N 21/4762 წერილის მოთხოვნების შესაბამისად განახლებულ სკრინინგის ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

- სკრინინგის ანგარიში - ელექტრონული ვერსია;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - ელექტრონული ვერსია;
- სანაყაროს პროექტი -ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,

შპს ,,ფერი"-ს დირექტორი

იოსებ მჭედლიშვილი

ჯ.ჩიჩუა N 8, 0159 თბილისი საქართველო
+995 32 2526871 INFO@PERI.GE WWW.PERI.GE